თბილისში
მიმდინარეობს
აფხაზეთის
საბჭოთა
სოციალისტური
ავტონომიური
რესპუბლიკის
დღეები

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 203
(6012)

1977 წლის 15 ოქტომბერი, შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

აფხაზეთის ასსრ სპორტული ცხოვრებისადმი მიძღვნილი მასალები იხილეთ მეორე გვერდზე

## ვამრავლოთ გამარჯვებები!

**ერთ კვირაზე** მეტი გავიდა, რაც ძალაში შევიდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუცია, ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონი. კონსტიტუციის ყველა 174 მუხლი ჩვენი ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვითაა გამსჭვალული და მით უფრო სასიხარულოა, რომ ახალი კონსტიტუციის შექმნაში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით მთელი ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს მშრომელებმა მიიღეს აქტიური მონაწილეობა.

12 ოქტომბრის საქართველოს პარტიული აქტივის გაფართოებულ კრებაზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ თქვა: „მთელ კონსტიტუციას წითელ ზოლად გასდევს პარტიული, სახელმწიფო ზრუნვა იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველას ჰქონდეს უფართოესი, ყველაზე სრული შესაძლებლობანი, რათა საზოგადოების სასარგებლოდ იყენებდეს თავის შემოქმედებით ძალებსა და ნიჭს. მასებზე სწორედ ამ ზრუნვის რეალიზაცია გახლავთ მთელი ჩვენი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ამოცანა".

და კიდევ: „განვითარებული სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის მანიფესტი გახდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია. იგი მსოფლიო ისტორიის, ჩვენი დიადი ქვეყნის გმირული მატიანის ბრწყინვალე ნიშანსვეტად მოგვევლინა".

ადამიანზე საბჭოთა მთავრობის ზრუნვის უდიდესი დადასტურება გახლავთ ახალი კონსტიტუციის 41-ე მუხლიც, რომელშიც საუბარია მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარებაზე, ეს კი ისევ და ისევ ჩვენი ჯანმრთელობის, ჩვენი სილაღისა და სიძლიერის საწინდარია.

საქართველოს მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქმით, მუხლჩაუხრელი შრომით უნდა უპასუხონ ჩვენი მთავრობის ამ მშობლიურ მზრუნველობას. ჩვენმა ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა ახალ-ახალი ზღუდეები უნდა დაძლიონ საბჭოთა ქვეყნის სადიდებლად და საკეთილდღეოდ.

საქართველოს ყველა რაიონის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურელების მხარდამხარ აფხაზი სპორტსმენებიც არ ზოგავენ ძალებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად, სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებათა პირნათლად შესრულებისთვის.

ამჟამად აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში 661 ფიზკულტურული კოლექტივია, რომლებშიც 90 ათასი ფიზკულტურელია გაერთიანებული. X ხუთწლედის პირველ წელს აფხაზეთში მომზადდა 23 სპორტის ოსტატი (გეგმით გათვალისწინებული 17-ის ნაცვლად), 92 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 528 პირველთანრიგოსანი, 26 ათასზე მეტი მასობრივი თანრიგის ფიზკულტურელი, 30 ათასი მშდ კომპლექსის ნიშნოსანი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და რეკორდსმენის სახელი მოიპოვა მსროლელმა მ. პაპავამ; იუნიორთა ევროპის ჩემპიონატიდან გამარჯვებული დაბრუნდა მსროლელი ა. გოროდიანკინი; საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაზე ვერცხლის მედლით დაიმშვენა მკერდი ძალოსანმა რ. ტარკილმა.

საკავშირო სარბიელზე დიდ წარმატებებს მიაღწიეს, აგრეთვე, მოჭიდავეებმა რ. ხუტაბამ და ვ. მარშანიამ, აფროსნებმა ა. ახუბამ, კ. სტრატილოვმა, ზ. ხუხუამ, ა. სობოლმა, ა. სტრიჟაკოვმა.

აფხაზეთში ხშირად ტარდება სხვადასხვა სახის შეჯიბრებები, საქართველოსა და სსრ კავშირის პირველობები სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

ჩვენში ტრადიციად იქცა მოკრივეთა საკავშირო ტურნირის გამართვა საბჭოთა კავშირის გმირის მ. ქანთარიას პრიზზე, ეწყობა, აგრეთვე, ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონის, სამხტომელი ვ. სანეევის პრიზის გათამაშება, წყალში მხტომელები ერთმანეთს ეცილებიან სპორტის ოსტატ მ. ჩაჩბას სახელობის პრიზს, ყოველწლიურად ტარდება სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. მარღანიას სახელობის თასის გათამაშება ახალგაზრდა ფეხბურთელთა შორის.

ერთი სიტყვით, აფხაზეთში სპორტული ცხოვრება დუღს; ჩვენი მიზანია, არ გადავუხვიოთ აღებულ გზას, ვამრავლოთ გამარჯვებები, ვიცქიროთ მხოლოდ წინ.

**დ. გუბაზი,**
**აფხაზეთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.**

## ზღვისპირეთის სიჭაბუკე

შემოდგომა ყველაზე ხვავრიელი დრო წელიწადისა, ამ დროს იმკის გლეხკაცი მთელი წლის ნაოფლარს, ფაცი-ფუცია ჩაის პლანტაციებსა და ზვრებში, ყველა გალაღებულია, ყველა ხარობს. წლევანდელი შემოდგომა, და, კერძოდ ოქტომბერი, განსაკუთრებული გამოდგა სოციალური თუ პოლიტიკური მოვლენებით. 7 ოქტომბერს საბჭოთა ხალხმა მიიღო თავისი ახალი გზისმკვლევი — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუცია, ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონი, 12 ოქტომბერს თბილისში საქართველოს პარტიული აქტივის გაფართოებული კრება გაიმართა, ნოემბრის დამდეგს კი მთელი ჩვენი ქვეყანა ტრადიციულად იზეიმებს დიდი ოქტომბრის დღესასწაულს, ოღონდ, ამჯერად საიუბილეოს, სამოცი წლისას. კიდევ ერთი სასიხარულო მოვლენა დაგვიდგა — გუშინ თბილისში დაიწყო აფხაზეთის დღეები, ხალხთა მეგობრობის დღეები. განა სხვანაირად შეიძლება ეწოდოს ამ დღესასწაულს? „განაგრძობდნენ რა აღმშენებლობითს საქმიანობას, საბჭოთა კავშირის მშრომელებმა უზრუნველყვეს ქვეყნის სწრაფი და ყოველმხრივი განვითარება, სოციალისტური წყობილების სრულყოფა. განმტკიცდა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის კავშირი, სსრ კავშირის ერებისა და ეროვნებების მეგობრობა", ვკითხულობთ სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

...ნაძვნარში ჩაფლული შავი ზღვის სანაპირო, აფხაზეთის მოლივლივე ზღვა, სანაპიროზე ჩამწკრივებული დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები, შრომითა და მზით გარუჯული სახეები. ეს ბავშვებიც, რომლებსაც ამ ფოტოზე ხედავთ, აფხაზეთის მკვიდრნი არიან, ნაზებიც და ძლიერებიც, ძლიერნი სულით, ხორცით.

**დაე, იზარდოს ჯეჯილმა, იზარდოს, გამაგრდეს, გაძლიერდეს...**

### წყალბურთი

ბაქო. ნამდვილ „ოქროდ" შეიძლება მოვნათლოთ ქულა, რომელიც წყალბურთელთა ჩემპიონატის ლიდერს — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალურ საწყლოსნო სპორტკლუბს მის ძირითად მოწინააღმდეგესთან აცილებს. მეზღვაურებმა დაუმარცხებლად განვლეს მთელი ტურნირი და მეათეჯერ დაიმსახურეს ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. ასპარეზობის დასკვნით დღეს ანგარიშით 9:4 მათ დაამარცხეს „მეხნატი" (ტაშკენტი). „ვერცხლი" მოიპოვეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომლებმაც მოუგეს ალმაათელ დინამოელებს — 11:8.

ჩემპიონატის ფინიშზე ფრედ დამთავრდა IV ადგილზე გასულ კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდისა (ბაქო) და ბრინჯაოს პრიზიორ „დინამოს" (კიევი) შორის გამართული მატჩი — 6:6. (საკდესი).

## ძალა შესწევთ!

22 ოქტომბერს მოსკოვში დაიწყება უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა იმ გუნდების ტურნირი, რომლებიც VII-XII ადგილებისთვის იბრძოლებენ. სამწუხაროდ, აუტსაიდერთა შორის არის თბილისის „დინამო", რომელსაც ერთ დროს წამყვანი პოზიციები ეჭირა სამამულო წყალბურთში. გვახსოვს საქართველოს წყალბურთელთა შთამბეჭდავი წარმატებები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში, სსრ კავშირის ჩემპიონატებში, სადაც ისინი საპრიზო ადგილების უცილობელი პრეტენდენტები იყვნენ. შემდეგ ჩვენს კოლექტივში დაიწყო თაობათა ცვლა, გუნდში მოვიდნენ ახალგაზრდა, პერსპექტიული ახალგაზრდები, რომლებმაც მართალია მხარი აუბეს ვეტერანებს, მაგრამ გუნდი მაინც უთანაბროდ გამოდის უკანასკნელ წლებში გამართულ საკავშირო ჩემპიონატებში. ასე იყო წლევანდელ პირველობაშიც და თბილისის „დინამო" გათამაშების ცხრილის ბოლოსწინა ადგილზე აღმოჩნდა.

მართალია, ჩვენი წყალბურთელები სახიფათო ზონაში არიან — დაბალ ლიგაში გადასვლა ემუქრებათ, მაგრამ მათ შეუძლიათ ვაჟკაცურად გაუმკლავდნენ მეტოქეებს, მაღალი სპორტული შემართებით დაამტკიცონ, რომ თითქმის შეუძლებელის მიღწევაც კი ძალუძთ.

ქვემოთ მოგვყავს VII-XII ადგილებისთვის მებრძოლი გუნდების გათამაშების ცხრილი.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" | მ. | 22 | 5 | 8 | 9 | 115—112 | 18 |
| „ლოკ." | ხ. | 22 | 6 | 5 | 11 | 108—133 | 17 |
| „სპარ." | გ. | 22 | 6 | 3 | 13 | 106—132 | 15 |
| „ტორ." | მ. | 22 | 4 | 3 | 15 | 109—134 | 11 |
| „დინ." | თბ. | 22 | 4 | 3 | 15 | 125—154 | 11 |
| „მოსკ." | მ. | 22 | 5 | 1 | 16 | 97—129 | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!

## ობიექტივშია აფხაზეთი, მრავალი სახელოვანი სპორტსმენის აღმზრდელი კერა

## პირველ რიგში — დიდი და დაუცხრომელი შრომა

**მეხიკო**, მიუნხენი, მონრეალი... გარბენი, — ერთი, ორი, სამი! და ზედიზედ სამი ოქრო. არც ერთ მძლეოსანს მსოფლიოში იმდენი წარმატება არ მოუპოვებია, რასაც ვიქტორ სანეევმა 12 წლის განმავლობაში მიაღწია. იგი „სპორტის დედოფლის“ ჭეშმარიტად ღირსეული რაინდია. გავა წლები და ეს საოცარი სპორტსმენი კვლავაც იქნება იდეალური ნებისყოფისა და შრომისმოყვარეობის ნიმუში. ვ. სანეევი დიდხანს შემორჩება მსოფლიო სპორტის ისტორიას.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ ქ. სოხუმის მე-8 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა იაკობ კერსელიანმა ყური მოჰკრა, მე-4 კლასში ერთი პატარა ბიჭი 4 მეტრზე შორს ხტებაო. დაინტერესდა, ნახა და გაოცდა — პატარა, გაჩხინკული ბავშვი პირველივე ცდაზე 4 მეტრსა და 40 სანტიმეტრზე „გადაფრინდა“.

ალბათ გასაგებია მწვრთნელის სიხარული და არც ის დიდი ინტერესია გასაკვირი, რაც ა. კერსელიანმა თავისი აღსაზრდელის მიმართ გამოიჩინა. ნიჭი თავისთავად დიდი საქმის ნახევარია, მაგრამ მხოლოდ ნახევარი და ეს კარგად ესმოდა მასწავლებელს. ახლა საჭირო იყო შრომის სიყვარული ჩაენერგა ბიჭისთვის. და დღეს, როცა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი მრავალი სპორტსმენის იდეალია თავისი განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობითა და გამარჯვებისკენ დაუოკებელი სწრაფვით, ეს სწორედ მისი პირველი მწვრთნელის ა. კერსელიანის დამსახურებაა.

მაღალი, გამხდარი კაცი ჩუმად მიაბიჯებს სტადიონის სარბენ ბილიკზე. უკან მოწაფეები მისდევენ. მერე სახტომ ორმოსთან ჩერდებიან, მწვრთნელი რაღაცას უხსნის ბავშვებს, ასწავლის. ბოლოს ვარჯიშიც იწყება... ა. კერსელიანი სოხუმის ბავშვთა-სპორტული სკოლის მხტომელებს ამზადებს და ნიშანდობლივია, რომ მისი მოწაფეები საოცარი გულმოდგინებითა და სიბეჯითით გამოირჩევიან. დაუღალავ შრომაში, ძიებაში ილევა დღეები, წლები, მწვრთნელის ფიქრი კი კვლავ თავის აღზრდილს დასტრიალებს.

...შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს ვიქტორმა სახლში გაუარა მასწავლებელს. იმ დღით ვარჯიში ჰქონდათ დანიშნული და ხელში სპორტული ჩანთა ეჭირა. მწვრთნელმა ფანჯრისკენ გაიხედა — გარეთ კოკისპირულად წვიმდა.

— გავიქცევი, ქოლგას მოგიტანთ! — წამოხტა ვიქტორი. და ვარჯიში მაინც ჩატარდა...

— მისი წარმატებების მთავარი მიზეზი სწორედ ეს თავდაუზოგაობაა, — ამბობს ა. კერსელიანი. — იგი, პირველ ყოვლისა, დიდი და დაუცხრომელი მშრომელია. ვიქტორი ბევრს თამაშობდა ფეხბურთს, კალათბურთს. თუკი ერთი ფეხი ეტკინებოდა, მეორეთი ხტებოდა და საბოლოოდ ასე გამოიმუშავა ორივე ფეხით უნაკლო ხტომის უნარი. ერთხელ ლესელიძეში ჩავედი, სადაც ვიქტორი ჩვენი ქვეყნის სხვა უძლიერეს მძლეოსნებთან ერთად იმყოფებოდა შეკრებაზე. საღამო ხანი იყო, ბაღში მუსიკის საამო ჰანგები ისმოდა და მეც იქით გავწიე. ჩვენი სპორტსმენები ისვენებდნენ, ზოგი ცეკვავდა, ზოგიც ჭადრაკსა და შაშს თამაშობდა. ვიქტორი ვერსად ვიპოვე. ბოლოს ისევ ოთახში მივაკითხე — იგი იჯდა და თავისი მძლეოსნური ფეხსაცმლის შეკეთებით იყო გართული...

• • •

უეცრად სარბენ ბილიკზე ჩოჩქოლი ატყდა, ა. კერსელიანის მოწაფეებს ვიღაც პატარა, გაჩხინკული ბიჭი მოჰყავდათ, გალიაში მომწყვდეული ციყვივით აქეთ-იქით რომ აცეცებდა თვალებს და გასაქცევად მიიწევდა.

— მასწავლებელო, ნახეთ ერთი რამსიშორეზე ხტება, აბა ნახეთ! მწვრთნელს უცნაურად აუციმციმდა თვალები, ბავშვს მიუახლოვდა, შეანჯღრია, ახედ-დახედა.

— აბა ერთი, გადახტი, ბიჭიკო!

• • •

**სურათზე: სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ სანეევის პირველი მწვრთნელი ა. კერსელიანი სოხუმის ბავშვთა სპორტსკოლის მოსწავლეებთან.**



## დაიხსომეთ ეს სახელი!

### მეცადინეობს ნორჩ ტანმოვარჯიშეთა სპეციალური ჯგუფი

პირველ რიგში სიჩუმემ გაგვაოცა, კიდევ — წესრიგმა: ფართო, ნათელ დარბაზში შეზეთილებივით პრიალებენ ტანვარჯიშის იარაღები — ღერძი, ორძელი, ტაიჭი, დვირი, რგოლები... იატაკი ფერადი ლეიბებით მოუფენიათ. კედლების გასწვრივ, დაბალ სკამებზე 9 წლის გოგო-ბიჭები სხედან და მწვრთნელს საკვირველი სერიოზულობით უსმენენ. სწორედ ეს გულმოდგინება, სიბეჯითე და საქმისადმი ნამდვილი სიყვარული გამოსჭვივის ქ. სოხუმის მე-2 საშუალო სკოლის ტანმოვარჯიშეთა ექსპერიმენტალური კლასის ყოველ გაკვეთილში.

• • •

ადამიანთა ცნობიერებაში უზარმაზარი სივრცეები დაიპყრო სპორტმა და როცა გვესმის სტადიონებსა თუ დარბაზებში თავმოყრილი ათიათასობით კაცის სიხარულის ან მწუხარების გამომხატველი ერთობლივი გუგუნი, ტელევიზორის ეკრანებთან გასუსული მაყურებლის დაძაბული სუნთქვა, გვჯერა, რომ დღეს სპორტის გარეშე კაცობრიობის ინტელექტუალური ცხოვრება წარმოუდგენელია.

სპორტსმენის სხეულის დახვეწილი, ჰარმონიული მოძრაობები მისივე სულის შინაგან ემოციებს გვიმჟღავნებენ. ამის მისაღწევად კი ადამიანს ბავშვობიდან სჭირდება დაუღალავი, გულმოდგინე შრომა, სიბეჯითე, რა თქმა უნდა, ნიჭიც... ლიუდმილა ტურიშჩევა, ოლგა კორბუტი, რუსუდან სიხარულიძე, ნიკოლოზ ანდრიანოვი, პაატა შამუგია... ამ საქვეყნოდ ცნობილი სახელების უკან ვინ იცის რამდენი შრომა, მონდომება და ზოგჯერ დიდი თავდადება იმალება.

ა. ს. პუშკინის სახელობის მე-2 საშუალო სკოლაში (დირექტორი ქ. კაჭარავა) შექმნილი ნორჩ ტანმოვარჯიშეთა სპეციალური ჯგუფის მასწავლებლებიც სწორედ იმას ცდილობენ, რომ გამოავლინონ და აღზარდონ ნიჭიერი, სულიერად ძლიერი სპორტსმენები.

უყურებ და გიკვირს — ერთი შეხედვით ჩვეულებრივი გაკვეთილია, ბავშვებიც ჩვეულებრივნი არიან, ცნობისმოყვარენი, მკვირცხლები, მაგრამ განსხვავებაც აშკარაა — გხიბლავს მათი გარეგნობა, პატარა, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, მაგრამ უკვე მოქნილი სხეულები, გამოხედვა, სიარული.

— ბავშვები კარგად სწავლობენ, — გვითხრა ჯგუფის ხელმძღვანელმა ს. ჯაიანმა — კლასში არც ერთი ჩამორჩენილი მოსწავლე არა გვყავს და ამაში უთუოდ სპორტი ეხმარებათ. მისი წყალობით ისწავლეს სიბეჯითე, წესრიგი. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სხვა კლასებში წელიწადში ჩვეულებრივ 15-16 ბავშვი ავადმყოფობს. ჩვენთან კი ასეთი შემთხვევები მინიმუმამდეა დაყვანილი. ისე, რომ გვჯერა, ჩვენი მიზანი მიღწეული იქნება — ყველას თუ ჩემპიონად ვერ გამოვზრდით, ჯანმრთელი მომავალი თაობა მაინც გვეყოლება.

ბიჭები ღერძზე ვარჯიშობენ. მსუბუქად, ძალდაუტანებლად ასრულებენ საკმაოდ რთულ ილეთებსა და ნაერთებს, ერთს მეორე ცვლის, მეორეს მესამე... ფიზაღზრდის მასწავლებელი ალექსი მიშაროვი გულმოდგინედ უხსნის ბავშვებს ახალი ელემენტის შესრულების საიდუმლოებას. გოგონები ხალიჩაზე ვარჯიშობენ, მათ შორის ერთი პატარა, ჩოგბურთის ბურთივით მოძრავი ბავშვი იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას.

— ეს კატია კუვალოვაა, — ღიმილით გვეუბნება სპორტის ოსტატი თამარ ბახტაძე. — კარგად დაიმახსოვრეთ — შესაძლოა სულ რამდენიმე წელიწადში ოლიმპიურ ასპარეზობაზეც შეგხვდეთ ეს გვარი...

პატარა კატია დვირზე ადის. დახვეწილი მოძრაობები, სიმსუბუქე, სინაზე და ლამაზი ბავშვური ღიმილი აშკარად მიგვანიშნებენ მის უტყუარ მომავალზე — ვინ იცის, იქნებ არც სცდება გამოცდილი მწვრთნელი.

• • •

ფართო ნათელ დარბაზში შეზეთილებივით პრიალებენ ტანვარჯიშის იარაღები — ღერძი, ორძელი, დვირი, ტაიჭი, რგოლები... იატაკი ფერადი ლეიბებით მოუგიათ. კედლების გასწვრივ დაბალ სკამებზე სხედან ნორჩი ტანმოვარჯიშეები და სულგანაბულები უსმენენ მწვრთნელს.

●

**სურათებზე: ქ. სოხუმის ა. ს. პუშკინის სახელობის მეორე საშუალო სკოლის ტანვარჯიშის დარბაზი; ნორჩი ტანმოვარჯიშე კატია კუვალოვა თავის მწვრთნელ ვ. მიხეევასთან ერთად.**

## მზად იქნება საიუბილეოდ

ატალახებული გზა, ხრეშისა და ქვიშის ვეებერთელა გორები, ჯერ კიდევ მოუხსნელი ხარაჩოები. გუგუნებენ ბულდოზერები, გრეიდერები. სტადიონის ტრიბუნებზე ხალხი ფუსფუსებს — მუშაობენ მემონტაჟეები, დურგლები, მღესავები. მღებავებსაც უკვე გასჩენიათ საქმე — თეთრდება კონსოლის რიგელებზე დაწყობილი გადახურვის ფილები, იღებება დასაჯდომი სკამები, მოაჯირი. გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს სოხუმის ახალი სტადიონის მშენებლობაზე. თავდაუზოგავად შრომობენ აფხაზეთის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს (უფროსი ა. ჩარგაზია, სამუშაოთა მწარმოებელი თ. ფირცხალავა) მუშები ი. კესოვი, ლ. კოპალიძე, ვ. ხისაური და სხვები — 7 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავზე უნდა გაიხსნას სტადიონი და მშენებლებმა გადაწყვიტეს სამუშაოები საპირველნოემბროდ მოამთავრონ.

ახალი სტადიონი 15 ათას კაცზეა გათვალისწინებული. აქ გაიმართება რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობის შეჯიბრებები ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ველოსპორტში...

ჯერ კი ისევ გუგუნებენ ბულდოზერები, ასუფთავებენ სარბენ ბილიკებს, ტრიბუნებზე ხალხი ფუსფუსებს...



აფხაზეთის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა საქმიანობაზე მასალები მოამზადეს ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტებმა ნუგზარ შატაიძემ და მიხეილ ზარგარიანმა (ფოტო).

# ფეხბურთი '77

## უმაღლესი ლიგა

12 ოქტომბერს შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები:

„ჩერნომორეცი" (ოდესა) — „ქაირათი" (ალმა-ათა) 1:0. გოლი, რომელმაც 2 ქულა მოუტანა ოდესელებს, ლეშჩუკმა გაიტანა მე-40 წუთზე. გაფრთხილებულია ალმაათელი ტალგაევი.

„ზარია" (ვოროშილოვგრადი) — „არარატი" (ერევანი) 2:2. მასპინძლები ორჯერ იყვნენ წინ (კუზნეცოვი, კუკსოვი), მაგრამ ერევნელმა არუთინიანმა შეძლო ორივე გოლის გაქვითვა.

„კარპატი" (ლვოვი) — „ნეფთჩი" (ბაქო) 2:2. 33-ე წუთისთვის სტუმრების თავდამსხმელებმა ორუჯევმა და აბასოვმა 2 ბურთი გაიტანეს მასპინძელთა კარში, მაგრამ ლვოველებმა დამარცხებას თავი დააღწიეს კოზინკევიჩისა და ციმბალიუკის ზუსტი დარტყმების წყალობით.

„ტორპედო" (მოსკოვი) — ცსკა 0:0.

„კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 1:1. ლოკომოტიველი პეტრაკოვის მიერ 21-ე წუთზე გატანილი ბურთი შესვენების შემდეგ გაქვითა არიაპოვმა. ამას გარდა, კუიბიშეველმა ფეტისოვმა ვერ გამოიყენა პენალტი.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ." კ. | 25 | 11 | 13 | 1 | 43—12 | 35 |
| „დინ." თბ. | 26 | 11 | 12 | 3 | 38—23 | 34 |
| „ტორპ." | 25 | 10 | 10 | 5 | 22—17 | 30 |
| „დინ." მ. | 25 | 8 | 13 | 4 | 32—20 | 29 |
| „შახტ." | 26 | 8 | 13 | 5 | 25—19 | 29 |
| „ლოკომ." | 24 | 9 | 11 | 4 | 25—20 | 29 |
| „ქაირათი" | 26 | 6 | 14 | 6 | 25—26 | 26 |
| „ჩერნომ." | 26 | 9 | 8 | 9 | 27—34 | 26 |
| „ზენიტი" | 26 | 7 | 11 | 8 | 28—28 | 25 |
| „არარატი" | 26 | 6 | 12 | 8 | 25—29 | 24 |
| „ნეფთჩი" | 26 | 5 | 14 | 7 | 23—30 | 24 |
| „დნეპრი" | 26 | 8 | 7 | 11 | 21—27 | 23 |
| ცსკა | 25 | 5 | 13 | 7 | 24—34 | 23 |
| „ზარია" | 26 | 6 | 10 | 10 | 24—23 | 22 |
| „კარპატი" | 26 | 5 | 11 | 10 | 23—28 | 21 |
| „კრ. სოვ." | 26 | 2 | 6 | 18 | 14—49 | 10 |

●

# კორექტივების გარეშე

დონეცკი. „შახტიორის" სტადიონი. 12 ოქტომბერი.

„შახტიორი" (დონეცკი) — „დინამო" (თბილისი) 1:1 (1:0).

„შახტიორი": დეგტერიოვი, იარემჩენკო, მიშინი, კონდრატოვი, პიანიხი, გორბუნოვი, როგოვსკი, რეზნიკი (ლატიში), სტარუხინი, დუდინსკი (ვარნავსკი), სოკოლოვსკი.

„დინამო": გოგია (გაბელია), კოსტავა, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე (კოპალეიშვილი), გუცაევი, ჩელებაძე, დარასელია.

მსაჯი: ე. შკლოვსკი (მოსკოვი).

გოლები გაიტანეს სტარუხინმა და ჩივაძემ.

დუბლიორები — 1:1. გოლები გაიტანეს ბაზაზაშვილმა და ლატიშმა.

ოცდამეექვსე ტურს ჩემპიონობის ორი ყველაზე რეალური პრეტენდენტის, კიევისა და თბილისის დინამოელთა ურთიერთობაში კორექტივები არ შეუტანია — ორივე გუნდმა თავ-თავის მონაგარს თითო ქულა დაამატა. ეს არის, თბილისის „დინამომ" კიდევ უფრო დაიახლოვა ვერცხლის მედალი — ჯილდო, რომელიც უკანასკნელად 25 წლის წინათ მოიპოვეს ქართველმა ფეხბურთელებმა.

დონეცკის მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, ძნელი გამოდგა. „შახტიორი" ჯერ კიდევ და არც თუ უსაფუძვლოდ ფიქრობს სანუკვარ საპრიზო სამეულზე. ამასა და ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის დამარცხების პერსპექტივას არ შეიძლებოდა ცეცხლი არ შეენთო მეშახტეთა ისედაც საკმაოდ ცნობილი ენთუზიაზმისთვის. ამ ანგარიშგასაწევ ძალას მხოლოდდამხოლოდ კარგი თამაში უნდა დაპირისპირებოდა და აქვე ვთქვათ კიდეც: თბილისელებმა ურიგოდ არ ითამაშეს.

ის, რომ მინდორზე „დინამო" უფრო სოლიდურად, უფრო ტექნიკურად გამოიყურებოდა, მაინცდამაინც გასაკვირი არ არის, მაგრამ როცა შეხვედრის მეორე ნახევარში სტუმრებმა წმინდა ფიზიკური ძალით, გამძლეობითაც დაჩაგრეს მასპინძლები, მატჩის შედეგმა უკეთესის სურვილი, სავსებით გასაგები სინანული დაგვიტოვა. ორი ქულის აღება ალბათ შეიძლებოდა.

აქ შეგვეძლო გაგვეხსენებინა „შახტიორის" კარის აღების არა ერთი და ორი ხელსაყრელი შემთხვევა, თბილისელთა უპირატესობა (განსაკუთრებით მეორე ტაიმში) მინდვრის ცენტრში, დეგტერიოვის სასწაულებრივი ნახტომი, დასანანი გოლი საკუთარ კარში, შეიძლებოდა სპორტული უიღბლობაც მოგვეშველებინა და...

მაგრამ ამდენი ალბათობის დაშვება, ვფიქრობ, მაინც მიკერძოებულ მსჯელობას დაემგვანებოდა, ვერც ვერაფერს გაამართლებდა და გულახდილად რომ ვთქვათ, არც მაინცდამაინც უხდება სპორტს, კერძოდ კი ფეხბურთს. და თუ თვითონვე არ შევეცდებით თავის მოტყუებას, უნდა ვაღიაროთ, რომ შედეგი კანონზომიერი იყო.

„დინამომ" ბრძოლით მოიპოვა ეს ქულა, ამდენივეა „შახტიორის" წილიც, მაგრამ თუ დონეცკელ ფეხბურთელებს მატჩის მიწურულს მეტის მისაღწევად სურვილის მეტი აღარაფერი დარჩათ, თბილისელებზე ამას ვერ ვიტყვით. მაშ რაღათქა ავხსნათ ასეთი წინააღმდეგობა. როგორღა გავიგოთ: ძალა შეგწევდეს და ვერ შეძლო? ეჭვი არ არის, რაღაც ამგვარი მართლაც ხდება.

წლეულს ჩვენებმა მეტოქის მინდვრებზე სამი თამაში მოიგეს, სამი წააგეს, დანარჩენი შეხვედრები ფრედ დამთავრდა — ეს ზუსტად ორმოცდაათი პროცენტია. თქმა არ უნდა, შედეგი ბრწყინვალე არ არის, მაგრამ კარგი ნამდვილად ეთქმის. თუმცა ერთი დამაფიქრებელი ნიუანსი მაინც თან სდევს ამ შედეგს: ჩვენს მიერ დამარცხებული სამივე გუნდი ცხრილის ქვემოთა ნახევარშია და საშუალოს ეპითეტსაც ვერ იმსახურებს.

კარგია ეს თუ ცუდი? კარგია თუ ამარცხებ გუნდს, რომელიც ვალდებულიც ხარ დაამარცხო, თუ არ უთმობ შედარებით ძლიერებსაც (ეს გუნდის საიმედობაზე ლაპარაკობს), მაგრამ ისეთი კლასის მქონე კოლექტივს, როგორიც „დინამოა", მეტიც მოეთხოვება — თუნდაც მილანური გამარჯვების მსგავსი რამ. ასეთი კი ჩემპიონატში ჩვენს ფეხბურთელებს არ უგემნიათ. მართალია ამ მხრივ არც დღევანდელ ლიდერს აქვს საქმე კარგად, მაგრამ განა დასამალია, რომ კიეველთა სწორედ ეს მანერა თუ ტაქტიკა არ არის მისაბაძი? არ მინდა, ისე გამიგონ თითქოს ამით თბილისელებს რაიმე მიმბაძველობას ვწამებდე. ჩვენს გუნდს თავისი, სრულიად განსხვავებული ხელწერა, სულ სხვა გზა აქვს და ასეც უნდა იყოს. უბრალოდ ამდენი კირკიტის სურვილი თბილისის „დინამოს" კარგმა თამაშმა და მეტის შეძლების პოტენციამ გაგვიჩინა. ეს ბუნებრივიც არის — ცუდსა და დავრდომილს არც არაფერს სთხოვენ.

შეიძლება ითქვას, რომ გუნდში ახლა ყველაფერი რიგზეა: მოიძებნა დაცვის ოპტიმალური ვარიანტი (ყოველ შემთხვევაში მცველთა მიმართ სასაყვედურო თითქმის არაფერი გვაქვს). კარგად თამაშობს ნახევარდაცვაც. მართალია ყიფიანის ტრავმამ ერთობ დააზარალა თავდასხმის ხაზი, მაგრამ თავშისაცემად არც აქ გვაქვს საქმე. დონეცკის მატჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ეს მოსაზრება. ბრძოლისუნარიანობაც საკმაოდ აქვთ თბილისელებს, მაგრამ აი, იმის რწმენა, რომ ყველაზე უკეთესი, ყველაზე ძლიერი ხარ (რაც ძალზე ბევრს ნიშნავს დიდი მიზნების მქონე კოლექტივისთვის) და რომ ამ უპირატესობას ხორცშესხმა ესაჭიროება, ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ პროგრესი ერთობ თვალსაჩინოა. სწორედ ეს გამუდმებული ზრდა გვაიმედებს.

მატჩი „შახტიორის" იერიშებით დაიწყო. დონეცკელი ფეხბურთელები მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ფლობდნენ ტერიტორიულ უპირატესობას, თუმცა რამდენადმე სერიოზული ხიფათი მაინც ვერ შეუქმნეს დინამოელთა კარს. თბილისელების მწვავე კონტრშეტევები კი სულ ცოტა ორჯერ მაინც გოლით შეიძლებოდა დამთავრებულიყო. მეექვსე წუთზე ჩელებაძემ (გუცაევის გადაცემა) და ოცდამერვეზე ქორიძემ ვერ გამოიყენეს ასეთი შესაძლებლობა. მეორმოცე წუთზე (ამ მომენტისთვის თამაში გათანაბრდა) სოკოლოვსკის მიერ ძლიერად დარტყმულ ბურთს უხერხულად იგერიებს გოგია და უკრაინელთა ბომბარდირს სტარუხინს დიდად აღარ გასჭირვებია მისი ბადეში მოთავსება.

მეორე ტაიმში მანუჩარ მაჩაიძის თავმდამსხმელთა რიგებში გადანაცვლებამ კიდევ უფრო გააძლიერა „დინამოს" შეტევითი პოტენციალი. „შახტიორი" საკუთარი კარის უვნებელყოფაზეღა ფიქრობს. მიშინი, ძალზე აქტიურად რომ მოქმედებდა პირველ ნახევარში, ფაქტიურად მესამე ცენტრალურ მცველად იქცა. 51-ე წუთზე ისევ ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა ჩელებაძე, 79-ზე კი რევაზის შემოტრიალებით დარტყმულ ბურთს მართლაც სასწაულით მისწვდა დონეცკელთა გოლკიპერი. გოლი, რომ იტყვიან, მომწიფდა და სულ რაღაც წუთის შემდეგ ჩივაძის ზუსტმა დარტყმამ წონასწორობა აღადგინა. თბილისელთა იერიშები არ წყდება. „შახტიორის" კარს სახიფათოდ უტევენ მეტოქეები. მატჩის მიწურულს კი მაჩაიძის ლამაზად დარტყმულ ბურთს წამით დაასწრო შეხვედრის მსაჯის სასტვენის ხმამ (უნდა ითქვას, რომ მოსკოველმა ედუარდ შკლოვსკიმ ძალზე კარგად იმსაჯა).

**ი. გერიაშვილი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

დონეცკი — თბილისი.

• • •

ფეხბურთის მოყვარულებმა უკვე იციან, რომ 19 ოქტომბერს კოპენჰაგენში თბილისის „დინამო" უეფა-ს თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალურ მატჩში შეხვდება „ბკ კოპენჰაგენს". დონეცკის მატჩის შემდეგ დინამოელთა უფროსი მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი გაემგზავრა დანიას, სადაც მომავალი მეტოქის ერთ-ერთ კალენდარულ მატჩს დაესწრება.



ა. ჩივაძე

გ. ფირცხალავას მეგობრული შარჟი.

### მორიგ ტურში

ერთმანეთს ხვდებიან: **22 ოქტომბერს** — „ლოკომოტივი" — „ქაირათი", „შახტიორი" — „დინამო" (მოსკოვი), „ზარია" — „ზენიტი", „კარპატი" — ცსკა, „დნეპრი" — „არარატი", „ჩერნომორეცი" — „კრ. სოვეტოვი". **23 ოქტომბერს** — „ტორპედო" — „დინამო" (თბილისი), „დინამო" (კიევი) — „ნეფთჩი".

**დღეს** კიევში გაიმართება გამოტოვებული მატჩი ადგილობრივ და მოსკოვის „დინამოს" გუნდებს შორის. შეხვედრა ტრანსლირებულ იქნება ცენტრალური ტელევიზიით 20 საათიდან თბილისის დროით.

## სსრ კავშირის პირველობა

### პირველი ლიგა

12 ოქტომბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელები კრივოი როგში შეხვდნენ ადგილობრივ „კრივბასს" და მარცხი იწვნიეს ანგარიშით 1:4.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „პამირი" (დუშანბე) 0:1, „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 1:1, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „კოლხოზჩი" (აშხაბადი) 2:0, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „რუბინი" (ყაზანი) 3:2, ასკ (დონის როსტოვი) — „ზვეზდა" (პერმი) 2:1, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 3:2, „თერგი" (გროზნო) — „კუზბასი" (კემეროვო) 1:0, „შინიკი" (იაროსლავლი) — „დინამო" (მინსკი) 2:1.

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახთაქ." | 34 | 18 | 11 | 5 | 51—23 | 47 |
| „სპ." მ. | 33 | 18 | 9 | 6 | 71—41 | 45 |
| „პამირი" | 34 | 18 | 6 | 10 | 50—31 | 42 |
| „დინ." მნ. | 33 | 17 | 8 | 8 | 41—22 | 42 |
| „ტავრია" | 33 | 17 | 7 | 9 | 47—28 | 41 |
| „კუზბასი" | 33 | 18 | 3 | 12 | 45—33 | 39 |
| „თერგი" | 33 | 16 | 6 | 11 | 54—40 | 38 |
| „შინიკი" | 33 | 12 | 12 | 9 | 42—36 | 36 |
| „ტორპედო" | 34 | 13 | 7 | 14 | 38—43 | 33 |
| „ნისტრუ" | 33 | 10 | 13 | 10 | 36—42 | 33 |
| „დინ." ლ. | 33 | 10 | 11 | 12 | 46—46 | 31 |
| ასკ როსტ. | 33 | 10 | 10 | 13 | 31—37 | 30 |
| „ურალ." | 33 | 10 | 10 | 13 | 43—54 | 30 |
| „სპ." ორ. | 33 | 10 | 9 | 14 | 36—41 | 29 |
| „სპ." ი.-ფ. | 33 | 8 | 13 | 12 | 31—45 | 29 |
| „კოლხ." | 34 | 11 | 7 | 16 | 38—55 | 29 |
| „მეტალ." | 33 | 9 | 10 | 14 | 27—40 | 28 |
| „კრივბასი" | 33 | 9 | 6 | 18 | 39—52 | 24 |
| „რუბინი" | 33 | 6 | 8 | 19 | 34—63 | 20 |
| „ზვეზდა" | 33 | 4 | 10 | 19 | 25—53 | 18 |

### მეორე ლიგა

მოგვყავს II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების განვლილი ტურის შეხვედრები, რომლებიც ჩვენს გაზეთში არ იყო გამოქვეყნებული: „დინამო" (სოხუმი) — „პროგრესი" (კიროვაბადი) 2:0, „გურია" (ლანჩხუთი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 4:0, „ზენიტი" (იჟევსკი) — „არაზი" (ნახიჩევანი) 6:0, „დრუჟბა" (იოშკარ-ოლა) — „ავტომობილისტი" (ბაქო) 0:0, „დინამო" (კიროვი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 1:2, „სოკოლი" (სარატოვი) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) 2:0, „დრუჟბა" (მაიკოპი) — „დინამო" (მახაჩყალა) 2:2.

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპ." ნლ. | 39 | 22 | 10 | 7 | 56—30 | 54 |
| „გურია" | 39 | 22 | 7 | 10 | 91—53 | 51 |
| „დინ." მხ. | 39 | 21 | 9 | 9 | 69—45 | 51 |
| „შირაკი" | 39 | 22 | 5 | 12 | 72—51 | 49 |
| „ტორპედო" | 39 | 18 | 8 | 13 | 62—45 | 44 |
| „სოკოლი" | 39 | 18 | 8 | 13 | 67—52 | 44 |
| „დრ." ი.-ო. | 39 | 17 | 8 | 14 | 54—47 | 42 |
| „დინ." ზ. | 39 | 15 | 11 | 13 | 50—48 | 41 |
| „ავტ." | 39 | 16 | 8 | 15 | 58—55 | 40 |
| „ლოკომ." | 39 | 13 | 13 | 13 | 58—54 | 39 |
| „დრ." მ. | 39 | 14 | 11 | 14 | 51—53 | 39 |
| „დინ." ბ. | 39 | 15 | 8 | 16 | 49—50 | 38 |
| „გასტ." | 39 | 16 | 5 | 18 | 57—48 | 37 |
| „დინ." სხ. | 39 | 13 | 11 | 15 | 44—56 | 37 |
| „ზენიტი" | 39 | 14 | 8 | 17 | 65—49 | 36 |
| „დინ." კრ. | 39 | 15 | 6 | 18 | 44—45 | 36 |
| „დილა" | 39 | 13 | 8 | 18 | 54—70 | 34 |
| „ტურბ." | 39 | 13 | 7 | 19 | 46—50 | 33 |
| ფიზკ. ინს. | 39 | 10 | 12 | 17 | 40—48 | 32 |
| „პროგ." | 39 | 11 | 8 | 20 | 36—62 | 30 |
| „სპ." თბ. | 39 | 11 | 8 | 20 | 40—71 | 30 |
| „არაზი" | 39 | 8 | 3 | 28 | 28—98 | 19 |

## მეხუთე ფინალისტი

●

## ერთადერთი საგზურისთვის

**განვლილ** ოთხშაბათს გამოირკვა კიდევ ერთი, მეხუთე გუნდის ვინაობა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში 1978 წელს. ესაა შოტლანდიის ფეხბურთელთა ნაკრები, რომელმაც მეტოქის მინდორზე მოუგო შესარჩევი მატჩი უელსის გუნდს ანგარიშით 2:0.

გაიმართა შეხვედრები სხვა ჯგუფებშიც. ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებმა თავის მინდორზე წააგო ჰოლანდიელებთან — 0:1, ხოლო ლუქსემბურგელებმა — ინგლისელებთან — 0:2, ფრედ დამთავრდა 2 მატჩი: ირლანდია — ბულგარეთი 0:0, გდრ — ავსტრია 1:1.

ახლა არგენტინის ფინალური თამაშების ვიზა განაღდებული აქვს 5 ქვეყანას: **არგენტინას, გფრ-ს, ბრაზილიას, პერუს და შოტლანდიას.** დანარჩენი ვაკანსიები განაწილდება მიმდინარე წლის დასასრულამდე.

**დაიწყო** ცენტრალური და ჩრდილოეთ ამერიკის ფეხბურთელთა ექვსი გუნდის ტურნირი მსოფლიო ჩემპიონატის ერთადერთი საგზურისათვის. მექსიკაში, სადაც ფინალური მატჩები ტარდება, პირველმა ტურმა ასეთი შედეგები მოგვცა: მექსიკა — ჰაიტი 4:1, გვატემალა — სურინამი 3:2, სალვადორი — კანადა 2:1.

## უცხოეთის ამბები

### მერკელი — გენერალური მენეჯერი

ცნობილი მწვრთნელი მერკელი დანიშნულია ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციის „გენერალურ მენეჯერად". მას ევალება ამ ქვეყნის ყველა ნაკრები გუნდის მეურვეობა.

რაც შეეხება პირველ ეროვნულ ნაკრებს, მის მწვრთნელად კვლავ რჩება ზენეკოვიჩი.

### 3 წლით ციხე

ასე დაისაჯა „იფსვიჩ თაუნის" ერთ-ერთი გულშემატკივარი, რომელმაც დამპალი ვაშლი დაუშინა ავტობუსს, სადაც „ვულვერჰემპტონ უონდერერსის" გულშემატკივრები იმყოფებოდნენ.

შეხლა-შემოხლა და აყალმაყალი ინგლისის სტადიონებზე ჩვეულებრივი ამბავი გახდა.

### გრივსი კვლავ თამაშობს

შეიძლება ბევრისთვის ცნობილი არც იყოს, რომ კვლავ განაგრძობს თამაშს განთქმული ინგლისელი თავდამსხმელი ჯიმი გრივსი, რომელიც ახლა 37 წლისაა.

გრივსს ჩატარებული აქვს 399 მატჩი ინგლისის I ლიგაში, 57-ჯერ გამოვიდა ეროვნულ ნაკრებში, სადაც 44 გოლი გაიტანა. ახლა იგი III ლიგის კლუბ „ჰერფორდში" თამაშობს.

### ჰიუჯი — კაპიტანი

ინგლისის ნაკრების მოთამაშეებმა ახალ კაპიტნად აირჩიეს „ლივერპულის" მცველი ჰიუჯი. გუნდის ყოფილი კაპიტანი კიგანი, როგორც ცნობილია, „ჰამბურგერ შპორტფერაინის" წევრი გახდა და ამან გამოიწვია მისი გადარჩევა. ამის მიუხედავად, იგი კვლავ რჩება ნაკრების წევრად და გფრ-ში გადასვლის შემდეგაც მონაწილეობს მის თამაშებში.

## საქართველოს ჩემპიონატი

### II ჯგუფი

#### I ზონა

„არაგვი" (დუშეთი) — „განთიადი" (კასპი) 2:4, „ციხკარი" (სიღნაღი) — „აბული" (ახალქალაქი) 1:0, „არაგვი" (მცხეთა) — „თრიალეთი" (წალკა) 1:1, „ჩამომსხმელი" (ბორჯომი) — „მეშაქრე" (აგარა) 1:1, „იბერია" (ქარელი) — „ვარძია" (ასპინძა) 1:0, „განახლება" (ადიგენი) — „სიონი" (ბოლნისი) 3:2, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „გარეჯი" (საგარეჯო) 1:3, „სამცხე" (აწყური) — „ალაზანი" (გურჯაანი) 2:1, „მესხეთი" (ახალციხე) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 2:2.

#### II ზონა

„ბახმარო" (ჩოხატაური) — „მექალალდე" (ზუგდიდი) 2:1, „ენერგეტიკოსი" (თერჯოლა) — „შახტიორი" (ტყვარჩელი) 4:1, „ტორპედო" (გაგრა) — „ავტომობილისტი" (ბათუმი) 2:1, „სულორი" (ვანი) — ხდკ (სამტრედია) 8:0, „შუქურა" (ქობულეთი) — „ავტომობილისტი" (მაიაკოვსკი) 2:1, „ოჯალეში" (ბანძა) — „ნაკადული" (ჩხოროწყუ) 3:3, „მშენებელი" (ჭიათურა) — „სამგურალი" (წყალტუბო) 2:5.

# ტურნირმა მისამართი შეიცვალა

სოხუმი. ჭანბას სახელობის სახელმწიფო თეატრი. V ტური. ა. როდრიგესი (კუბა) — ნ. რადევი (ბულგარეთი) 0,5:0,5, რ. ხოლმოვი (მოსკოვის ოლქი) — ი. პლახეტკა (ჩეხოსლოვაკია) 0,5:0,5, რ. ბელინი (ინგლისი) — ე. უბილავა (თბილისი) 1:0, ა. გიპსლისი (რიგა) — გ. ზაიჩიკი (თბილისი) 1:0, ე. მნაცაკანიანი (ერევანი) — ნ. ალექსანდრია (თბილისი) 1:0, ლ. ალბურტი (ოდესა) — რ. ნიჩევსკი (იუგოსლავია) 1:0, თ. გიორგაძე (თბილისი) — პ. სეკეი (უნგრეთი), — 0,5:0,5, ბ. გურგენიძე (თბილისი) — ძ. კაიშაური (შვეცია) 1:0.

VI ტური. რადევი — სეკეი 0,5:0,5, კაიშაური — გიორგაძე 0:1, ნიჩევსკი — გურგენიძე 0:1, ზაიჩიკი — მნაცაკანიანი 1:0, უბილავა — გიპსლისი 0,5:0,5, პლახეტკა — ბელინი 0,5:0,5, როდრიგესი — ხოლმოვი 0,5:0,5.

VII ტური. გიპსლისი — პლახეტკა 1:0, მნაცაკანიანი — უბილავა 0:1, ალბურტი—ზაიჩიკი 1:0, გურგენიძე — ალექსანდრია 1:0, სეკეი—კაიშაური 0,5:0,5, ბელინი—როდრიგესი 0,5:0,5, გიორგაძე — ნიჩევსკი 1:0.

გადადებული და გამოტოვებული პარტიები: მნაცაკანიანი — კაიშაური 0,5:0,5, ალბურტი — გურგენიძე 1:0.

7 ტურის შემდეგ ლიდერობენ ხოლმოვი 4,5 ქულა (1 გადადებული პარტია), გიპსლისი და ბელინი 4,5-4,5 ქულა, ალბურტი 4,5 ქულა (ერთი გადადებული და ერთი გამოტოვებული პარტია), გიორგაძე 3,5 ქულა (2 გამოტოვებული და 1 გადადებული პარტია).

ვ.გოგლიძის
მემორიალი
თბილისი-77

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან ვ. გოგლიძის IV მემორიალმა აფხაზეთის დედაქალაქში გადმოინაცვლა. ტურნირი ადგილობრივ მცხოვრებთა დიდ ინტერესს იწვევს. 13 ოქტომბერს ალექსანდრიას დაბადების დღე ჰქონდა. როგორც წესი იუბილარები ამ დღეს ცუდად თამაშობენ. ეს ტრადიცია ამჯერადაც გამართლდა, მით უმეტეს, რომ ამჯერად მკაცრი გამომცდელი, მისი მასწავლებელი ბ. გურგენიძე ეთამაშებოდა. საინტერესო იყო აგრეთვე პლახეტკას შეხვედრა გიპსლისთან. ჩეხოსლოვაკიელმა ორი ფიგურა შესწირა და ლოგიკური დაბოლოება პარტიისა მისი გამარჯვება იქნებოდა, მაგრამ შემდეგ ცუდად ითამაშა და წააგო. უბილავამ ერთ-ერთი საუკეთესო პარტია ითამაშა, როცა მნაცაკანიანს მოუგო. ტურნირი თავის ეკვატორს მიუახლოვდა, ბრძოლა თანდათან უფრო მწვავე და საინტერესო ხდება.

**თ. გიორგაძე,**

**მემორიალის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.**

## ჭადრაკი

ბარაკასი, 13 ოქტომბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი, ოსტატი ა. რომალი გადმოგვცემს:

— ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობას ვენესუელის დედაქალაქში გამართულ სხდომაზე არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა მოუწევს, მათ შორის 1978 წლის მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის მატჩის პირობების შესახებ.

ფორუმის მუშაობაში მონაწილეობს საბჭოთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან მსოფლიოს ჩემპიონები ა. კარპოვი და ნ. გაფრინდაშვილი.

# ლიდერობს ვიტკაუსკაიტე

სოხუმი, 14 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ). ქალთა III საკავშირო ჩემპიონატზე ასუჯრიან შაშში მაია მოსიძე VIII ტურში ცნობილ ლენინგრადელ მოშაშე ი. სპასკაიას შეხვდა. მაიამ განახორციელა უნივერსალური სირთულის სტრატეგიული გეგმა და ერთ მომენტში საუკეთესო სვლების მთელი სერია ჩაატარა. გამოცდილი ლენინგრადელი ცუდ პოზიციაში მოხვდა, ვერ მონახა კონტრთამაში და მაიამ მოუგერიებელი მუქარები შექმნა, რის შედეგად მოიგო შაში. შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ ზედმეტი შაში იგივეა, რაც ჭადრაკში ზედმეტი ფიგურა. სამწუხაროდ, მოსიძეს ქულა განაღდებული ეგონა და უყურადღებოდ ითამაშა. მეტოქემ გამოიყენა ეს და ყაიმს მიაღწია. ანალოგიური სურათი განმეორდა მომდევნო ტურშიც. ამჯერად თბილისელი მოსწავლის მეტოქე იყო სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიო პირველობათა ორგზის ვერცხლის პრიზიორი ლ. ტრავინა (ვილნიუსი). ლიტველმა მოჭადრაკემ გაართულა თამაში, რაც მაიას წისქვილზე ასხამდა წყალს. მოსიძის ანგარიში უფრო ზუსტი და შორეული გამოდგა: ფორსირებული მანევრით მაიამ შაში მოიგო, მაგრამ მაინც ფრთხილად თამაშობდა. ერთ მომენტში ახალგაზრდულმა აზარტმა გაიტაცა და ნაცვლად იმისა, რომ მშვიდად დაემთავრებინა პარტია, ახალი გართულებები წამოიწყო, შედეგად ქვეყნის ჩემპიონს საშუალება მისცა პარტია ყაიმით დაემთავრებინა. უდავოა, რომ ორივე ყაიმი ძალზე საპატიოა, თუმცა სპეციალისტები ერთგვარ სენსაციადაც თვლიან, მაგრამ ორივე პარტიის სიუჟეტის გათვალისწინებით დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ მოსიძემ სულ მცირე ნახევარი ქულა დაკარგა. ვიმედოვნებთ, რომ ტურნირის დროს შეძენილი გამოცდილება დაეხმარება მოსიძეს შემდგომში უფრო აზრიანად გამოიყენოს მატერიალური უპირატესობა.

VIII ტურში მსოფლიო ჩემპიონმა ე. მიხაილოვსკაიამ (მოსკოვი) შეჯიბრების ლიდერ რ. ვიტკაუსკაიტესთან (ვილნიუსი) დიდი პოზიციური უპირატესობა მიიღო, მაგრამ იგი საკმარისი არ გამოდგა გამარჯვებისათვის. IX ტურში ვიტკაუსკაიტემ კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერის მდგომარეობა, როცა ლამაზი კომბინაციით გ. კუზნეცოვას (ლენინგრადი) მოუგო. ლიდერებს წამოეწია მინსკელი ლ. ილინა. მან ზედიზედ ორი პარტია მოიგო — კუზნეცოვასა და ტაშკენტელ ა. ახმედოვასთან. უშეღავათოდ იბრძვის ხარკოველი ა. აგრანოვსკაია: მან მოუგო გ. მოსკანსკაიას (გორკი) და წააგო რიგელ რ. სვირელსკასთან. შთამბეჭდავი გამარჯვება იზეიმა მიხაილოვსკაიამ დონეცკელ ტ. მეშჩანსკაიასთან შეხვედრაში. ვილნიუსელმა ჟ. სოკოლაუსკაიტემ მოუგო გორკელ ბ. ლაზარენკოს.

9 ტურის შემდეგ ვიტკაუსკაიტეს 7,5 ქულა აქვს, ტრავინას და მიხაილოვსკაიას 6-6, ილინასა და სოკოლაუსკაიტეს — 5,5-5,5. მოსიძემ 4 ქულა დააგროვა.

**ბ. განტვარგი,**

**საერთაშორისო დიდოსტატი.**

# გეოგრაფია უნდა გაიზარდოს

**შალვა დიასამიძის მემორიალი დამთავრდა**

**დროდადრო** ისმოდა მაყურებელთა გამამხნევებელი შეძახილები, კალათში მოთავსებულ ბურთს რომ ტაშით ხვდებოდნენ. უცხო თვალი ადვილად შეამჩნევდა, რომ „ბანაკი“ ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ერთნი სააღრიცხვო-ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტებს ქომაგობდნენ, მეორენი საინჟინრო-ეკონომიურისას...

„ლელოს“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სასწავლებლის ყოფილი პედაგოგისა და უნივერსიტეტში კალათბურთის დამაარსებლის შალვა დიასამიძის პირველი მემორიალი. ხუთი დღის განმავლობაში კალათბურთის დარბაზში ამ სასწავლებლის ექვსი საუკეთესო გუნდი ერკინებოდა ერთმანეთს.

მთელი ტურნირის მანძილზე დაუმარცხებლად იასპარეზა სააღრიცხვო-ეკონომიური ფაკულტეტის გუნდმა. მან შეჯიბრების ბოლო დღესაც სძლია მეტოქეს (94:90). გამარჯვებული კოლექტივის კაპიტანს გ. ბერელიძეს შალვა დიასამიძის გარდამავალი თასი გადასცა ამაგდარი პედაგოგის შვილიშვილმა დათომ. ტურნირზე სხვადასხვა პრიზები იყო დაწესებული. საუკეთესო გამთამაშებლის პრიზს გ. ბერელიძე დაეუფლა, საუკეთესო დამცველისას — ვ. ძიძიგური (ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი), ხოლო ყველაზე შედეგიანი მოთამაშის პრიზი ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტს ლ. ხუჭაძეს ხვდა.

დასასრულ, ვესაუბრეთ მემორიალის მთავარ მსაჯს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ა. მესხს. აი, რა გვითხრა მან: „მემორიალი მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს მ. ქურიძეს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს რ. გოგელიას, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯებს თ. კაკაურიძესა და ო. სტურუას. კარგი იქნება, თუ მომავალში შალვა დიასამიძის სახელობის თასის გათამაშების „გეოგრაფია“ გაიზრდება“.

**ვ. დოლენჯაშვილი.**

• • •

**სურათებზე: სააღრიცხვო-ეკონომიური და საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტების გუნდების შეხვედრის მომენტი; გამარჯვებული გუნდი.**

ავტორის ფოტოები.

12
11
6
18
6
10
7

## გულმოდგინედ თუ იშრომებენ...

## ჭიდაობა

„ლოკომოტივისა“ და „შრომითი რეზერვების“ საჭიდაო დარბაზებში ერთდროულად ჩატარდა თბილისის მოსწავლეთა პირველობა კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებები მიზნად ისახავდა პერსპექტიული მოჭიდავეების გამოვლენას საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების დასაკომპლექტებლად. და მართლაც, ორივე ასპარეზობამ ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა, რომლებსაც გულმოდგინე წვრთნისა და ვარჯიშის შემდეგ შეუძლიათ წარმატებით იასპარეზონ გაისად ტაშკენტში, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე.

გაგაცნობთ ჩემპიონებს წონითი კატეგორიების მიხედვით. **კლასიკურ ჭიდაობაში:** გ. კენჭოშვილი (განათლების განყოფილება), თ. ალაპიშვილი („შრომითი რეზერვები“), დ. გოგიშვილი („განთიადი“), ს. პაპიაშვილი (განათლების განყოფილება), ე. გიორგაძე („ბურევესტნიკი“), რ. ხარშილაძე („განთიადი“), გ. ნუცუბიძე, ნ. წერეთელი, ზ. სანიკიძე (სამივე — განათლების განყოფილება), გ. ყარყარაშვილი, გ. თუშიშვილი (ორივე — „განთიადი“), გ. თიგოევი („შრომითი რეზერვები“), გ. ჯიდეხაური („სპარტაკი“), ი. ღუდუშაური („ბურევესტნიკი“).

**თავისუფალ ჭიდაობაში:** ჯ. გოქსაძე (განათლების განყოფილება), ა. სამაშვილი („სპარტაკი“), ნ. ქობელაშვილი („დინამო“), გ. ბერიაშვილი (განათლების განყოფილება), ი. ბახტაძე, ე. ქობესაშვილი (ორივე — „სპარტაკი“), გ. გოგრიჭიანი („შრომითი რეზერვები“), ი. მარლიშვილი (განათლების განყოფილება), ა. რევიშვილი („შრომითი რეზერვები“), ჯ. ზუბიაშვილი („განთიადი“), ლ. გოგიბედაშვილი („დინამო“), ვ. მაისურაძე („სპარტაკი“), ა. ჯაჯანიძე („დინამო“).

**ო. შოშიტაშვილი,**

**შეჯიბრების მთავარი მსაჯი თავისუფალ ჭიდაობაში.**

# სახლი პროპაგანდისტი

გამოჩენილ სპორტსმენებთან შეხვედრები, დოკუმენტური სპორტული ფილმების ფესტივალი, ლექციები ციკლიდან „ფიზკულტურა და სპორტი — საბჭოთა ხალხის ყოფა-ცხოვრებაში“, სოფლის საუკეთესო სპორტსმენების საპატივცემულოდ გამართული საღამოები, — აი, ის ღონისძიებები, რომლებიც მოლდავეთის რიშკანის რაიონის, სოფელ ლიადოვენის კულტურის სახლის მუშაკებს დაუსახავთ. იქაური ბავშვებისა და მოზრდილებისთვის ყოველ კვირა ტარდება ვიქტორინები და დილები. სპორტული თამაშებისთვის განკუთვნილ ოთახში კოლმეურნეები ერთმანეთს ეჯიბრებიან ჩოგბურთში, მართავენ ჭადრაკისა და შაშის ერთდროული თამაშის სეანსებს. აქვე ეწყობა სპორტული წიგნის გამოფენები, სოფლად ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისადმი მიძღვნილი ლიტერატურის განხილვა.

კულტურის სახლის მიერ ფიზკულტურისა და სპორტის პოპულარიზაცია გათვალისწინებულია კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გეგმით. იგი წარმატებით ხორციელდება: სოფლის ცენტრში აიგო ჯანმრთელობის ზონა, სტადიონი, მოედნები, კორტი, მშდ-ის „ქალაქი“. სექციების მუშაობას საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობენ კოლმეურნეები, სპეციალისტები და მასწავლებლები. აქვე ტარდება საჩვენებელი გამოსვლები, ამხანაგური მატჩები და სპორტული დღესასწაულები.

**საკდესის კორ.**

რიშკანი,

მოლდავეთის სსრ

## თბილისის სპორტულ ვაკეზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 15 ოქტომბერი. ასკ-ს სტადიონი. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი).** დასაწყისი 12 ს. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. **„განთიადი“ (თბილისი) — ასკ (თბილისი)** 16 ს. **ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა. „დინამოს“** ბაზა დიღომში. **„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი).** 12 ს. ასკ-ს სტადიონი. **განათლების განყოფილება (თბილისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი).** 12 ს. 30 წთ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. **„ინტერნატი“ (თბილისი) — „განთიადი“ (თბილისი).** 16 ს.

**რაგბი.** „ლოკომოტივის“ სტადიონი. კვირას. **საკავშირო პროფსაბჭოს ახალგაზრდული გუნდების პირველობის შესარჩევი მატჩი. საქართველო — სომხეთი.** დასაწყისი 13 ს.

## ტანვარჯიში

## რუმინელთა სრული უპირატესობით

ათენი. ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონის, რუმინელი ნ. კომანეჩის გამარჯვებით დამთავრდა ბალკანეთის ქვეყნების ჩემპიონატი ტანვარჯიშში. კომანეჩიმ თავი ისახელა მრავალჭიდში — 38,75 ქულა. გამარჯვებულის საპატიო კვარცხლბეკზე ჩემპიონთან ერთად ავიდნენ მისი თანამემამულენი — გ. გეორგიუ და კ. იცუ (38,1-38,1).

რუმინეთის გუნდმაც ბევრად გაუსწრო უახლოეს კონკურენტებს — ბულგარელ ტანმოვარჯიშე ქალებს. რუმინეთის ნაკრების შედეგია — 191,2 ქულა, ბულგარელებისა — 184,2.

ჩემპიონის წოდება მამაკაცებშიც რუმინელმა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს. დ. გრეკუმ აჯობა ამ ტიტულის შარშანდელ მფლობელს ს. დელჩევს. თავის საყვარელ იარაღზე — რგოლებზე გრეკუმ შეჯიბრების უმაღლესი შედეგი დაიმსახურა — 9,75.

**რედაქტორი ბ. ბასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380008. თბილისი. ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14; 93-97-60; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71; 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-57; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

77 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02319